Beeline™

შ.პ.ს. "მობიტელი"
საქართველო, თბილისი,
0105, ბამბის რიგის ქ.8

Mobitel LLC
8, Bambis rigi str.,0105,
Tbilisi, Georgia

საფოსტო მისამართი:
საქართველო, თბილისი,
0114, გორგასლის ქ. №6

Postal address:
6, Gorgasali str., 0114,
Tbilisi, Georgia

ტელეფონი:
(995 32) 20 06 06

Telephone:
(995 32) 20 06 06

ფაქსი:
(995 32) 20 06 20

Fax:
(995 32) 20 06 20

15/ 04/2014წ.
148 /14

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ აკაკი სიხარულიძეს

ბატონო აკაკი,

2014 წლის 10 მარტს შპს "მობიტელმა" მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და ითხოვა, "მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგებისა და კომისიის 2010 წლის 21 მაისის № 240/9 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" კომისიის 2013 წლის 13 დეკემბრის №744/19 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. 2014 წლის 12 მარტის განჩინებით (საქმე №3/771-14), თბილისის საქალაქო სასამართლომ შეაჩერა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 13 დეკემბრის №744/19 გადაწყვეტილების მოქმედება შპს "მობიტელის" ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2014 წლის 01 აპრილს, შპს "მობიტელმა" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარუდგინა მოწვევის ოფერტა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის განჩინების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, 2014 წლის 12 მარტიდან ურთიერთჩართვის ტარიფი განისაზღვრა 11 თეთრით.

6/2024-14
15 04 14

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, 2014 წლის 15 აპრილის №08/774-14 წერილით, 2014 წლის 01 აპრილის შპს "მობიტელის" მოწვევის ოფერტასთან დაკავშირებით, გამოთქვა რიგი შენიშვნები და შპს "მობიტელს" განუსაზღვრა გარკვეული მითითებები. აღნიშნული შენიშვნებისა და მითითებების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ, მოდიფიცირებული პირობებით ჩამოყალიბებულ მოწვევის ოფერტას.

პატივისცემით,

შპს "მობიტელის"
გენერალური დირექტორი გიორგი ტყეშელაშვილი

მოწვევის ოფერტა

მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის

შპს "მობიტელ"-ის

ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადება

1. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების მისამართები

ა) ქ. თბილისი, ფარნავაზის ქუჩა №6 ბ) ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №31
გ) ქ. ქუთაისი წერეთლის ქუჩა №186 დ) ქ. ბათუმი აღმაშენებლის ქუჩა №13

2. ურთიერთჩართვის წერტილში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისების აღწერილობა

ურთიერთჩართვის წერტილებში გამოყენებული ინტერფეისებია:

- G 703, SS7 სიგნალიზაცია

3. ძირითადი ქსელის საკომუნიაკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) ტარიფები

- მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულების) ტარიფი – 2014 წლის 01 მაისიდან - 11 თეთრი/წთ, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით
- ტრანზიტული გატარების ტარიფი საქართველოს ტერიტორიაზე – 1 თეთრი/წთ, დღგ-ს ჩათვლით

4. ანგარიშსწორების პირობები

საანგარიშო თვის დასრულებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში, შემომავალი და გამავალი ტრაფიკის მოცულობის დადგენის მიზნით, მხარეები ცვლიან მონაცემთა უწყისებს. რომლიმე მხარის მიერ უწყისის ზემოაღნიშნულ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შედარების ოქმის შედგენისათვის გამოიყენება მონაცემები, რომელიც წარმოადგინა მეორე მხარემ. ანგარიშწორების პერიოდად ითვლება კალენდარული თვე, რომლშიც იყო გაწეული კავშირგაბმულობის მომსახურება.

მონაცემთა უწყისის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, მხარეები ორმხრივად ამტკიცებენ მონაცემებს, რომლებიც აღნიშნულია უწყისებში, რის შემდეგაც ადგენენ ურთიერთშედარების ოქმს, რომელშიც აღინიშნება ინფორმაცია ტრაფიკისა და გადასახდელი თანხების მოცულობის შესახებ. ამასთან ერთად მხარეები გამოუწერენ ერთმანეთს ანგარიშ-ფაქტურებს.

ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება ყველა განხორციელებულ ზარზე, მიუხედავად ზარის წამომწყები აბონენტის ადგილმდებარეობისა. *„მობიტელ"-ის* განხორციელებული ზარების დამრგვალება ხდება ერთი წამის სიზუსტით.

იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა უთანხმოება მონაცემების სისწორის შესაბებ, მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ უმცირეს მონაცემზე და ასეთი შეთანხმების მიღწევის შესახებ აღნიშნონ ოქმში. ზემოაღნიშნული ოქმის საფუძველზე მხარეები გამოწერენ ანგარიშ-ფაქტურებს. სადაო მონაცემების დასაზუსტებლად მხარეებს უფლება აქვთ მოსთხოვონ ერთმანეთს ზარების დეტალური ანგარიში (CDR - Call Detail Report). მას შემდეგ, რაც მხარეები მიაღწევენ უწყისების მონაცემების შესახებ ურთიერთსასურველ შეთანხმებას, მხარეები ვალდებულნი არიან ასეთი მოლაპარაკების შედეგები ცალკე პუნქტად ასახონ იმ საანგარიშო პერიოდის ოქმში, რომლეშიც შეთანხმება იყო მიღწეული და გამოწერონ მაკორექტირებელი ანგარიშ-ფაქტურები.

მხარეს, რომელსაც ანგრიშ-ფაქტურების გამოწერის შედეგად აღმოაჩნდება უარყოფითი სალდო, ვალდებულია შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის მიღებიდან 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში მოხდინოს მეორე მხარესთან ანგარიშსწორება.

„მობიტელი" და მასთან ურთიერთჩართული ოპერატორი ვალდებულნი არიან მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მოახდინონ მეორე მხარისათვის დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურების წარდგენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხი ან/და ფინანსური უზრუნველყოფის სხვა საშუალებები განისაზღვრება ინდივიდუალურად, ხელშემკვრელ მხარესთან შეთანხმებით.

5. არაპირდაპირი ურთიერთჩართვის პირობები

„მობიტელ"-თან არაპირდაპირი, ტრანზიტული კავშირის ოპერატორის საშუალებით ჩართვის შემთხვევაში, „მობიტელ"-თან არაპირდაპირ ურთიერთჩართული ოპერატორი უზრუნველყოფს ყველა სატრანზიტო ხარჯის დაფარვას, მათ შორის, მისი ქსელიდან წამოწყებული და „მობიტელ"-ის ქსელში დასრულებული, აგრეთვე „მობიტელ"-ის ქსელიდან წამოწყებული და მის ქსელში დასრულებული ზარების სატრანზიტო მომსახურების საფასურის გადახდას.

6. საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდებაზე, მსურველი პირისგან აქცეპტის თაობაზე განაცხადის განხილვის პირობები და პროცედურები

ურთიერთჩართვის ხელშეკრულება ფორმდება წერილობითი ფორმით.

ურთიერთჩართვის ხელშეკრულების დადების მსურველი პირი განაცხადით მიმართავს „მობიტელ"-ს განაცხადს თან უნდა დაერთოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული ავტორიზაციის მოწმობის ასლი, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი; ნუმერაციის ან სიხშირული რესურსის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი სალიცენზიო მოწმობის ასლი.

განაცხადში უნდა მიეთითოს:

- საფირმო სახელწოდება, იურიუდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი, ელფოსტა, ფაქსი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, საქმიანობის სახეები, რაზედაც ურთიერთჩართვის მსურველს გავლილი აქვს ავტორიზაცია, აგრეთვე არსებული ლიცენზიები სიხშირული და ნუმერაციის რესურსების მითითებით.
- ქსელის აღწერა, სავარაუდო ტრაფიკის მოცულობა, სიგნალიზაციის ტიპი, გამოყენებული ინტერფეისი.
- ურთიერთჩართვის მსურველი პირის მომსახურების სახეები და ტარიფები.

ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმებამდე და შემდეგ „მობიტელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს ურთიერთჩართვის მსურველს საბანკო გარანტიის წარმოდგენა, როგორც ხელშეკრულების შესრულების და გადახდის ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალება, რომლის ოდენობა დგინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთჩართული პირის მიერ „მობიტელ"-ისთვის გადასახდელი თანხა გადააჭარბებს საბანკო გარანტიის თანხას და ურთიერთჩართული პირი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ განახორციელებს შესაბამის გადახდას, „მობიტელი" იტოვებს უფლებას კანონმდებლობით დადგენილი პროცედურით შეაჩეროს ურთიერთჩართვის ხელშეკრულების მოქმედება მოთხოვნის საბანკო გარანტიის საფუძველზე დაკმაყოფილებამდე და ურთიერთჩართული პირის მიერ ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენამდე.

ურთიერთჩართვის მსურველი, ისევე როგორც „მობიტელი", კისრულობენ უზრუნველყონ ტექნიკური მახასიათებლების (სწორი A ნომრის – ზარის წამომწყები აბონენტის ნომრის) ერთმანეთისათვის გადაცემა და უტყუარი მონაცემების ერთმანეთისათვის მიწოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ტრაფიკის მიმღებ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება მეორე მხარის მიერ ასეთი ხარვეზის სრულად აღმოფხვრამდე.

ურთიერთჩართვის მსურველი ავტორიზებული პირი განაცხადს აბარებს „მობიტელ"-ისცენტრალურ ოფისში მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №8.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაცვით შედგენილი განაცხადის და დოკუმენტაციის ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღეში ურთიერთჩართვის მსურველს გადაეცემა ურთიერთჩართვის

ხელშეკრულების პროექტი ან ელექტრონული სახით გადაეგზავნება მის მიერ მითითებულ მისამართზე.

7. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების ვადა

მოწვევის ოფერტაზე მსურველი პირის მიერ განაცხადის წარმოდგენის თარიღიდან – 20 კალენდარული დღე.

8. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებისა და დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პროცედურები და პირობები

დამატებითი სიმძლავრე შეიძლება გამოეყოს მხოლოდ ურთიერთჩართულ ოპერატორს. ასეთი მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, შესაბამისი დასაბუთებით (მათ შორის ტრაფიკის ანალიზი).

9. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებისა და დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის ვადა

დამატებითი სიმძლავრის გამოყოფის ვადაა მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღე. ეს ვადა იმოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი სიმძლავრის უზრუნველყოფა არ მოითხოვს არსებულ ქსელში ტექნიკური საშუალებების დამატებას.

10. თანალოკაციის ფართით სარგებლობის პირობები

თანალოკაციის ფართით სარგებლობის შესახებ „მობიტელ"-სა და მსურველ ავტორიზებულ პირს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. ავტორიზებული პირისათვის თანალოკაციის ფართითს გამოყოფის საფუძველია მხარეებს შორის მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულება და ტერმინალის განთავსების ორმხრივად შეთანხმებული სქემა. აპარატურის განთავსების, აგრეთვე აპარატურის მოხსნის შემთხვევაში მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

თანალოკაციის ფართზე ურთიერთჩართვის აპარატურის განთავსების პირობებია:

ა) ურთიერთჩართვისათვის გამოყენებული ტერმინალი (შიდა ბლოკი). უნდა თავსდებოდეს სტანდარტულ 19 დიუიმიან დგარზე, ხოლო მისი სიმაღლე და სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 40სმ-ს;
ბ) მოხმარებული ელექტროენერგიის სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 150 ვტ-ს;
გ) „მობიტელი" უზრუნველოფს მუდმივი დენის გარანტირებულ ელექტროკვებას -48 ვოლტი ძაბვით, აგრეთვე თანალოკაციის ფართის სათანადო კონდიცირებას.

იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთჩართვის განხორციელებისთვის თანალოკაციის ფართის მსურველ ავტორიზებულ პირს ესაჭიროება რადიოსარელეო კავშირის ორგანიზება, მას „მობიტელ"-ისანძაზე თბილსსა და ბათუმში გამოეყოფა ფართი ანტენის დამონტაჟებისათვის, კერძოდ: თანალოკაციის ფართის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ანძაზე არაუმეტეს 0,6მ დიამეტრის პარაბოლური ანტენის განთავსებისთვის.

თანალოკაციის ფართზე დაშვების პირობები:

ა) თანალოკაციის ფართზე ავტორიზებული პირის წარმომადგენელი დაიშვება მხოლოდ „მობიტელ"-თან შეთანხმებით და „მობიტელ"-ის ან „მობიტელ"-ის შესაბამის კონტრაქტორის წარმომადგენლის თანდასწრებით;
ბ) ინფორმაცია დაშვების ყოველი შემთხვევის შესახებ აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში, რომლშიც მიეთითება ავტორიზებული პირის წარმომადგენლის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, ნომერი და თარიღი, დაშვების მიზანი, შესრულებული სამუშაო. ჩანაწერი დასტურდება „მობიტელ"-ის წარმომადგენლისა და თანალოკაციის ფართზე დაშვებული პირის ხელმოწერით.

თანალოკაციის ფართით სარგებლობის, ელექტროენერგიით უზრუნველყოფის, კონდიცირებისდა ანტენის განთავსების საფასური შეადგენს თვეში 150 (ასორმოცდაათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

11. ექსტრაორდინალურ და ფორს-მაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები

„მობიტელ"-მა და მასთან ურთიერთჩართულმა ოპერატორმა 10 სამუშაო დღით ადრე უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის სარემონტო ან სხვაგვარი სამუშაობის ჩატარების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთჩართვის ტრაფიკის გატარების შეფერხება.

მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის ყველა იმ დაზიანების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებაზე და შესთავაზოს ალტერნატიული გზები ტრაფიკის გასატარებლად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მხარები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

"დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება ნებიმირი გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, დიდთოვლობა და სხვა), აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიის აქტები), საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა.

თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ, რომლისთვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი0 კალენდარული დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით.

12. მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა

მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადაა – 2014 წლის 01 ნოემბრამდე.